ეს ორი ლოცვა (ფაჯრი და იშა) ყველაზე მძიმეა მუნააფიყებისთვის, მაგრამ რომ იცოდეთ, რა სიკეთეა მათში, მოხვიდოდით თუნდაც მუხლებზე ხოხვით

გადმოცემულია უბაი იბნ ქა'აბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): ერთხელ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაგვიწესა ფაჯრის ლოცვა და შემდეგ იკითხა: «ეს და ეს აქაა?» მათ უპასუხეს: «არა». შემდეგ იკითხა: «ეს და ეს აქაა?» მათ კვლავ უპასუხეს: «არა». შემდეგ თქვა: «ეს ორი ლოცვა (ფაჯრი და იშა) ყველაზე მძიმეა მუნააფიყებისთვის, მაგრამ რომ იცოდეთ, რა სიკეთეა მათში, მოხვიდოდით თუნდაც მუხლებზე ხოხვით. პირველი რიგი ანგელოზების რიგის მსგავსია, და რომ იცოდეთ მისი ღირსება, ყველანი მისკენ გაიწევდით. და ერთის ლოცვა მეორესთან ერთად უფრო უკეთესია, ვიდრე მისი მარტო ლოცვა, ხოლო მისი ლოცვა ორ კაცთან ერთად უფრო უკეთესია, ვიდრე ერთ კაცთან. და რაც მეტი იქნება, მით უფრო საყვარელია უზენაესი ალლაჰისთვის».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه أبو داود والنسائي وأحمد]

ერთხელ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღასრულა ფაჯრის ლოცვა, შემდეგ იკითხა: მონაწილეობდა ეს და ეს ჩვენს ამ ლოცვაში? საჰაბებმა თქვეს: არა. შემდეგ იკითხა: ეს და ეს იყო? სხვა კაცზე, თქვეს: არა. შემდეგ თქვა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას): ჭეშმარიტად, ფაჯრისა და იშას ლოცვები ყველაზე რთულია ორპირებისთვის, რადგან ამ დროებში ადამიანებს განსაკუთრებით უძლევთ ზარმაცობა, და ამ დროს თვალთმაქცობისთვის მოქმედება უფრო რთულია, რადგან სიბნელეში მათ ძალიან ცოტა თუ დაინახავს. რომ იცოდეთ, ო მორწმუნენო, რამდენი ჯილდო და საზღაური მოიცავს ფაჯრისა და იშას ლოცვებს – რადგან ჯილდო სირთულესთან არის დაკავშირებული, – თქვენ მიხვიდოდით მათზე თუნდაც ხოხვით, ხელებზე და მკლავებზე დაყრდნობით. პირველი რიგი, იმამის სიახლოვეს, მსგავსია ანგელოზთა რიგისა, რომლებიც უზენაესი ალლაჰის სიახლოვეს იმყოფებიან, და რომ იცოდნენ მორმუნეებმა პირველი რიგის ღირსება, ისინი ერთმანეთს გაასწრებდნენ მისკენ სწრაფვაში. ჭეშმარიტად, როცა ადამიანი ლოცვას სხვა ადამიანთან ერთად ასრულებს, ეს ლოცვა უფრო მნიშვნელოვანი და მადლიანი ხდება, ვიდრე მარტო შესრულებული ლოცვა, ხოლო ორ ადამიანთან ერთად შესრულებული ლოცვა უკეთესია, ვიდრე ერთთან ერთად შესრულებული. ლოცვა, რომელშიც ბევრი მლოცველია, ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი და უმჯობესია.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/11306